№ 193

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

ტფილისი

№ 193

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ექიმი
ვასილი მიხეილის-ძე
მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—8).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ აპეტიანცი. 1—1$^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7$^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12$^1/_2$—1$^1/_2$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1$^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

გადავიდა სლეპცოვის ქუჩაზე, № 13. ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинскiй переулокъ) მახლობლად.

(2—198—2

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოლოდნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ახალი ამბავი

—

⁂ რადგანაც ანგარიშისა და ფიზიკის მასწავლებლებს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში მოწაფეთა ნაწერების გასწორებაც უხდებათ და ამის გამო დიდი ჯაფა ადგებათ, საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ აღნიშნულის შრომისათვის სასწავლებლის საგანგებო თანხიდგან შესაფერი ჯილდო დაენიშნოთ, მაგრამ არა უმეტეს იმისა, რასაც რუსულისა და უცხო ენების მასწავლებლები იღებენ.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრს დაუმტკიცებია წესდება ტფილისის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს კალმით მშრომელს ხალხს დაეხმაროს.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კავკასიის გამოფენის ბეჭდვითი საქმის განყოფილების გამგესათვის წინადადება მიუცია, რომ გამოფენის დროს კავკასიელ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა კრება მოხდეს. კრებას აზრად ექნება ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა სხვა-და-სხვა საჭიროებანი განიხილოს. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად შაბათს, 8 სექტემბერს, რედაქციების წარმომადგენელნი არიან „Кавказскiй Вѣстникъ-ის რედაქციაში მიწვეულნი.

⁂ უმართებულესს სენატს ერთხელ კიდევ გაუმეორებია, რომ ძველი სარეკრუტო დებულების (1872 წ.) ძალით, ვისაც-კი ებრაელთაგანს სამხედრო სამსახური აქვს მოხდილი, შეუძლიან რომელსაც უნდა ქალაქის საზოგადოებას მიეწეროს.

⁂ ჩვენის საეკკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა შორის მეთორმეტე საუკუნეში (ვგონებთ, ცოტა ადრეც) შედგენილი ხელნაწერი (ბომბიცინაზედ) აღმოჩნდა, რომელშიაც ქართლის კათოლიკოზის დიდის არსენის შემდეგი ნაწერებია მოთავსებული: ცხოვრება წმ. ნინოსი, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, აბიბოს ნეკრესელისა, ისე წილკნელისა და სხ. ამ კრებულშივე მოთავსებული ყოფილა „სიბრძნე ბალავარისაც“, რომლისაგანაც მხოლოდ რამდენიმე ფურცელი-ღა დარჩენილა; იგი საკმაოდ განსხვავებულია ბ. თაყაიშვილის გამოცემულისაგან.

ფელეტონი

—

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა მე-XIX საუკუნეში.

დასრულდა მე-XVIII საუკუნე და მით დასრულდა ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებელი ცხოვრებაც. საქართველო გამოეთხოვა საკუთარს არსებობას, საკუთარს სამეფო ტახტს, საკუთარს ეკკლესიას, საკუთარს სკოლას და ბედი თვისი შეუერთა რუსეთს. დაიწყო ახალი ხანა ცხოვრებისა, სხვა, ახალი წეს-წყობილება, ახალი გამგეობა ქვეყნისა რუსეთის კანონებითა და ცხოვრების მიხედვით.

პირველში, რასაკვირველია, ძნელი იყო ერისათვის შესჩვეოდა ახალს გამგეობას, ახალს წესს და ახალს კანონებს. ქვეყანა უცხოობდა, ეხამუშებოდა ყოველივე, რაც ახლად შემოდიოდა ჩვენს ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულება იყო, თუ სხვა რამ წესი და რიგი გამგეობისა, სამართლისა. ძნელი იყო დავიწყება გუშინდელის დღისა, წარსულის ცხოვრებისა. შეჩვეული ჭირი სჯობიან ხშირად შეუჩვევარ ლხინსა და ქართველობაც ტოკავდა, მოუსვენრობდა, მერყეობდა.

ასეთს ყოფაში ძნელია ქვეყანამ მოახერხოს რამე, ნაყოფიერს საქმეს გული დაუდოს, საქვეყნო ფიქრს მიეცეს, გულ-დასმით განსაჯოს თვისი მდგომარეობა და ილვაწოს პატიოსანის ღვაწლითა. გავიდა თითქმის 20 წელიწადი, ვიდრე გული გულის ალაგას დადგებოდა, საზოგადოება დასცხრებოდა და შფოთვასა და ბორგვას თავს დაანებებდა.

საზოგადოებაო, მაგრამ სად-ღა იყო მაშინ საზოგადოება? საუკეთესო მამულის შვილნი, უკეთესნი ქართველნი აქეთ-იქით დაიქსაქსნენ და ტფილისში აღარც-კი სცხოვრობდნენ. ბატონიშვილნი, რომელნიც ერთმანერთს ექიშპებოდნენ, მზად იყვნენ ერთმანერთში სისხლის-ღვრა აეტეხათ და ქვეყანაც ორ შეურიგებელ სამხედრო ბანაკად გადაექციათ, რომ ძმისთვის ძმის სისხლი ელვრევინებინათ. რუსის მმართველობის შემოღებამ, თან გაარცა მოულოდნელად და თან თავ-ზარიც დასცა. გადასახლებულნი რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეს, მოსკოვსა და პეტერბურგში, მაშინ მოვიდნენ ისინი გონს, როცა გვიან-ღა იყო, მაშინ დამშვიდნენ, როცა აღარავითარი ღონის-ძიება აღარ იყო სამშობლოს ცა კვლავ ეხილნათ...

სახტად დარჩენილმა, გაოცებულმა და თავ-ზარდაცემულმა ქვეყანამაც ვეღარა მოიფიქრა-რა, თავის საუკეთესო შვილთ თავი ვეღარ მოუყარა და საერთო, საქვეყნო ფიქრი ვეღარ აფიქრებინა. ან-კი რაღა უნდა მოხერხებულიყო, რაღა უნდა გარიგებულიყო?! ერი მოღალული იყო, მოქანცული, სისხლით დაცლილი; ქვეყანა ტანჯული და აკლებული, სოფლები დაწიოკებული და გავერანებული თუ გარეულისა და თუ შინაურის მტრისაგან.

ამ სახით, თითქო შესწყდაო ის გაცხარებული მოღვაწეობა, ის ძლიერი ქვეყნისათვის საკეთილო მოძრაობა, რომელიც დაიწყო მე-XVIII საუკუნის დამდეგს, როცა მთელი გუნდი მოღვაწეთა მხნედ და დაუღალავად შეუდგა თავის ქვეყნის ფეხზედ დაყენებას და მის აღორძინებას. წ ვიდა თითქო და დაილუპა დიდი ღვაწლი იმისთანა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, როგორნიც იყვნენ პოეტი-მტირალი თავის ქვეყნისათვის დავით გურამიშვილი, რეფორმატორი და სჯულ-მდებელი ვახტანგ მე-VI, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი, სიბრძნე-სიცრუის ავტორი და ლექსიკოგრაფი საბა-სულხან-ორბელიონი, ეს დიდი-მცველი ქართულის სიტყვიერების საუნჯისა, ანტონ I კათალიკოსი, დამაარსებელი სასულიერო განათლებისა საქართველოში, ირაკლი II ამაღორძინებელი საქართველოს სამხედრო მთავრობისა, რომელმაც ყოველ-წლიური ხარჯი დაადო სახანოებს: განჯისას, ერევნისას, ყარაბაღისას, შექისა და შირვანისას და ბევრი კიდევ სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ ეს ასე იყო მხოლოდ გარეგნობით, ასე სჩანდა თვალთათვის. ნამდვილად-კი კეთილის ღვაწლის დაღუპვა და წარხოცვა აგრე ადვილი არ იყო; ერის სულიერს ძლიერებას აგრე ადვილად ვერავინ დასთრგუნავდა, ქარს ვერავინ მისცემდა და ვერ დაანიავებდა ქვეყნის ზნეობრივსა და გონებრივს ძალ-ღონეს...

მართალია, გარშემო კვნესა და გმინვა ისმოდა, მართალია, ქვეყანა ოხვრასა და ვაებას მისცემოდა, სადაც მიიხედავდით, ნანგრევები და ნაოხრები-ღა სჩანდა, მაგრამ ამ ნანგრევებ ქვეშ, ნაცრად ქცეულ, დანახშირებულ კომლ-ავარდნილ ნატამალთა შორის კიდევ ჰღვიოდა ღველფში ჩამალული ნაკვერჩხალი, რომელიც მალე გადაიქცევოდა ისევ აღგზნებულ ცეცხლად და წყაროდ სინათლისა და სიკეთისა.

გონს-მოსულნი, სინანულში ჩავარდნილნი შთამომავალნი მე-XVIII საუკუნის მოღვაწეთა, მათი ძენი და ძის-ძენი, რუსეთად მიმოფანტულნი, გულ-შემუსვრილნი თავიანთ ქვეყნის საზარელის ყოფით, მხნედ და მედგრად შეუდგნენ კულტურულს მუშაობას, სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობას. მხნედ და მედგრად შეუდგნენ იმ სულიერის საუნჯის გაძლიერებასა, რომელიც მიეღოთ მამათა და პაპათაგან. რადგან შეუძლებელი იყო ჩამდგარიყვნენ თვით ქვეყნის ცხოვრებაში და პრაქტიკულად ემუშავნათ მის საზოგადო ცხოვრების განკარგებისა და წინ-წაწევისათვის, სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობას მოჰკიდეს ხელი და დასტოვეს კიდეც სახელი სწავლულთა კაცთა და ნიჭით შემოსილ მწერალთა. ერთმა მოჰკიდა ხელი თავის სამშობლო ქვეყნის ისტორიას, მეორემ ასწერა და დაგვისურათა ქვეყნის მაშინდელი

ლის ტექსტისაგან. ამ ფურცლების გამოცემას აპირობს ჩვენი მოღვაწე ა. ხახანაშვილი, რომელსაც ამ ცოტა ხანში სისწორით გადაღებული პირი გაეგზავნება.

⁂ როგორც უმართებულესს სენატს განუმარტავს, როდესაც რამდენიმე ფარმაცევტი თხოულობს აფთიაქის გახსნის უფლებას, უპირატესობა უნდა მიეცეს თურმე იმას, ვისაც იმათგანს ჯერ აფთიაქი არა აქვს, დანარჩენს პირობებში—სამეცნიერო ხარისხსა და იმას, ვინც უწინ ითხოვა აფთიაქის გახსნის უფლება, ან ვისაც მეტის ნდობით უყურებს ადგილობრივი მთავრობა. ამას გარდა, ყურადღება აქვს მიქცეული, რასაკვირველია, თვითონ მცხოვრებთა რაოდენობასაც.

⁂ საოპერო არტისტები უკვე ჩამოვიდნენ. წარმოდგენები 9 სექტემბერს დაიწყება. პირველ წარმოდგენათ ოპერა „Жизнь за Царя“-ა დანიშნული.

⁂ წლიური ბიუჯეტის მიხედვით ტფილისს მთელის რუსეთის ქალაქებს შორის მეათე ადგილი თურმე უჭირავს (1.403,752 მან.)

ხმა შორიდან.

ბ.ბ. „გრუზინ“-ისა და ნ. დურნოვოს წერილების გამო.

თუ თქმულება „ციხე მხოლოდ შიგნიდან გატყდება ხოლმე“ საზოგადოდ არ არის სიმართლეს მოკლებული, ჩვენ, ქართველებისთვის, იგი სრულსა და უეჭველს ჭეშმარიტებას შეადგენს. ვისაც ოდნავ მაინც აქვს შესწავლილი ჩვენი ისტორია და გათვალისწინებული ჩვენი წარსული, დამეთანხმება, რომ ჩვენი „ციხე“ თითქმის ყოველთვის „შიგნიდან გატეხილა“ და მტერსაც მხოლოდ შინაურ მოღალატეთა შემწეობით გაუმარჯვნია ხოლმე. დიახ, ჩვენი მატიანე თუ ერთის მხრით სავსეა ქართველ გმირთა და მამულისათვის თავდადებულთა სახელოვან მოღვაწეობათა მოთხრობით, მეორეს მხრით არა ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი მასში საქართველოს ულირს შვილთაგან ჩადენილ საზიზღარ მოქმედებათ, გამოწვეულთ პირად სარგებლობით წინააღმდეგ სამშობლოსი და მთელის ერისა. ამბავი მედეიასი, რომელმაც ჯერ ისევ ქართველების ისტორიულ ცხოვრების დასაწყისამდე ასწავლა თავის საყვარელს, ბერძენს იაზონს, თავისი ქვეყნის საიდუმლო და ამნაირად ყველაფერი, რაც რომ წმინდა გააჩნდა, ანაცვალა ეგოისტურ მიზნის მიღწევას, თითქო წითელი ძაფით არის გავლებული მთელს ჩვენს ისტორიაში; იცვლებიან მხოლოდ პიროვნებანი, გარემოებანი, დრონი და ადგილნი, ხოლო მთავარი ფაქტი-კი უცვლელი რჩება: ღალატი სამშობლოსი და თავისიანებისა პირადის ინტერესების სასარგებლოდ ერთი და იგივეა ყოველთვის და ყოველგან.

სამწუხაროდ და ჩვენდა სასირცხვოდ, დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაშიაც არა ერთ მაგალითს ვხედავთ ამ ნაირ მოვლენისას და, როგორც წინად ჩვენნი მტერნი სარგებლობდნენ ჩვენის სისუსტით ამ მხრივ და აღწევდნენ თავიანთ სურვილს, დღესაც სწორედ ასევე იქცევიან ყველანი, ვისაც ჩვენი არსებობა ვერ მოუნელებიათ!

თუ მეცხრამეტე საუკუნის მიწურული არ ჩამორჩა წინანდელ დროების ასეთ პირთა მოვლენით ჩვენში და მოგვცა იმისთანა გმირი, როგორიც სამეგრელოს სხვა საქართველოსაგან განცალკევების მსურველი ბ. აშორდია ბრძანდება, ეს, მეოცე, საუკუნის დასაწყისიც ღირსეული მემკვიდრე შეიქმნა ამ მხრივ თავის წინამოადგილისა და მოგვევლინა ბ. „გრუზინი“, ავტორი რუსულ გაზეთ „სან. ვედომოსტის“ № 201-ში მოთავსებულ ბ-ნ ნ. დურნოვოს საპასუხოდ წერილისა. ქართველმა მკითხველმა უკვე იცის, როგორც არის საქმე, რადგან ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში აღნიშნული იყო თავის დროზე ბ. „გრუზინის“ „საქმენი საგმირონი“ და ამიტომ აღარ გავიმეორებ აქა; მე მხოლოდ ვსთხოვ მას, ერთხელ კიდევ დაუპირდაპიროს ერთმანერთს ჩვენებური ბ. „ქართველი“ და რუსი ბ-ნი ნ. დურნოვო, და დასდევს ორივეს მოქმედებას თავისი მსჯავრი! მაშინ, როდესაც უკანასკნელი, რომელსაც თავის სამოღვაწეო დროშაზედ თითქო დაუწერია ჩვენის პოეტის საგულისხმო სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“-ო

და იღვწის ჩვენდა სასარგებლოდ, ვინაიდგან მივაჩნივართ ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულად, აუღია ვიღაც „ქართველს“ კალამი ხელში და მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი პირადი ინტერესები დაიკმაყოფილოს, სწერს იმისთანა წერილს, როგორიც მისი ბ-ნი ნ. დურნოვოს მიმართ საპასუხო წერილია! ჭეშმარიტად ჩვენ, ქართველებს, სანუგეშოდ მხოლოდ ის-ღა დაგვშთენია, რომ ყოველთვის ყოფილან და იქმნებიან იმისთანა კეთილშობილნი, პატიოსანნი და ზნემაღალნი პირნი, როგორიც, მაგალითად, იყო დიდებული ინგლისის მოღვაწე გლადსტონი, რომელიც თითქო დარაჯად ედგა ყველა დაჩაგრულ ერთა და იცავდა მათ ინტერესებს და არის ჩვენთვის სრულიად უცხო ბ-ნი ნ. დურნოვო, რომელიც არ შეუშინდა „თავის სამშობლოს პატრიოტთა“ მიერ ყბად-აღებას და მართალი აშკარად გამოამჟღავნა ჩვენ შესახებ. მაგრამ, რომ კვლავაც გვთვლიდნენ ღირსად ჩვენთვის ხმის ამოღებისა და დაცვისა; რომ არ მივაჩნდეთ სრულიად ბოლო-მოღებულ ბრბოდ, რომლის დღეებიც დათვლილია და რომელზედ ლაპარაკიც-კი არა ღირს, საჭიროა ნდობის დამსახურება და იმ იმედის გამართლება, რაც ჩვენზე აქვთ. ბ-ნი ნ. დურნოვო თავის საპასუხო წერილს ბ. „გრუზინის“ მიმართ შემდეგის სიტყვებით ათავებს:

„თუ „პეტერბ. ვედ.“-ს რედაქციამ დაბეჭდა „გრუზინის“ წერილი, ეს იმის ნიშანია, რომ გაზეთი მიუდგომელია და სურს გაიგოს, რომელ მხარეს არის სიმართლე? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „პეტერბ. ვედომ.“ მონახავს ამ სიმართლეს: თვითონ ქართველები გამოამჟღავნებენ თავიანთ თანა-მემამულის სიმართლის მოყვარეობას და ფაქტების მთელის რიგით დაუმტკიცებენ მას, რამდენი სიმართლეა მის პასუხში. იგი მათი თანა-მემამულეა და უფრო ახლოა მათთან, ვინემ ჩვენთან.“ დიახ, აი რისი იმედი აქვს ჩვენგან ბ-ნ ნ. დურნოვოს და ჩვენც, უეჭველად, უნდა გავამართლოთ ეს იმედი და ამით კიდევ უფრო გავამხნევოთ ერთხელვე მისგან არჩეული მხარე სასიარულოდ! წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც თვით ბ-ნი ნ. დურნოვო, ისე სხვანიც დარწმუნდებიან, რომ ჩვენში მხოლოდ „გრუზინისთანა“ ქართველები ყოფილან, ან წყალწაღებულნი, მუნჯნი, რომელთაც ხმის ამოღებაც-კი ვერ მოუხერხებიათ, და, რასაკვირველია, მომავალში აღარ შეიწუხებენ თავს ჩვენ დასაცველად! მართალნიც იქმნებიან, რადგანაც დაცვის ღირსი მხოლოდ ის ერია, რომელიც თვითონაც იჩენს სიცოცხლის ნიშან-წყალს და გადაგვარებისა და მოსპობის გზას არ დასდგომია...

დუტუ მეგრელი.

დაბა და სოფელი

ს. დიმი (ქუთაისის მაზრა). წარსულს აგვისტოში მოვიდა საერო-განათლების სამინისტროსაგან ხალხის განაჩენი დიმის საზოგადოების ერთ-კლასიან სასწავლებლის ორ-
კლასიანთ გადაკეთების თაობაზე
მას თან მოჰყვა აგრეთვე ქუთაის
გუბერნიის სახალხო სკოლების დ
რექტორის მოწერილობა, რომ და
ყოვნებლივ სასკოლო ადგილი ამ
ერჩიათ და შეეძინათ, ან-და ძვე
გაეფართოვებინათ, თუ ეს შეს
ლო იქმნებოდა, და ზედ შესაფე
შენობა აეშენებინათ. ხალხი გ
ლით შეუდგა ერთისაცა და მეორ
საც შესრულებას.

10 ივნისს—შენობა, რომლ
გეგმაც დირექციისაგან იყო წა
მოდგენილი, ასაშენებლად 880
მანეთად გაიცა. ხოლო ადგილ
ამორჩევას არა ეშველა-რა, რად
ნაც ამ საქმეში ისევ ჩვეულებრ
მა პარტიობამ იჩინა თავი. ყრილ
ბამ შარშანვე ამოირჩია შვიდი
ცი, რომელთაც ადგილის ამორ
ვა მიანდო შუა-გულ საზოგად
ბისა. მაგრამ მათ შორის უთა
მოება მოხდა: ოთხმა ამათგა
„ერისთვის ადგილი“ ამოირჩ
სამმა—„კამლაძის ადგილი“. მა
უკანასკნელმა სამმა ოთხის გა
წყვეტილება განასაჩივრა, როგო
კერძოობითი ნამოქმედარი და
თაისის მაზრის უფროსმა ადგილ
ამორჩევა მიანდო სასოფლო ყ
ლობას. მეორედ დანიშნულს ყ
ლობაზედ 22 ივლისს ბევრი ჩ
განი დარწმუნებული იყო, რომ
საქმე უთუოდ გათავდებოდა, რ
განაც ორში ერთი უნდა ამო
ჩიათ ხმით უმეტესობით, მაგრ
დახეთ უბედურობას, ხალხი ორად
არა, სამათ გაიყო: ერთმა ნაწილ
ყრილობისამ არჩია სასწავლებ
ძველს ადგილზედ დარჩენილიყ
(ალბად სასწავლებელს არ იცნ
ბენ, შიგ არ შეუხედნიათ, თო
რამ აფიქრებინათ სასწავლებ
იქვე დატოვება, როდესაც არც
თი ნაბიჯი ადგილის მომატება
შეიძლება). თუ სასწავლებელი ძვე
ადგილზედ დარჩება, იმ შემთ
ვაში მას არ ექმნება არც ბაღი
არც ეზო, და ვისაც სასწავლებ
სა გაეგება რამ, იმას, ეჭვი არ არ

ყოფა, თან ანუსხა, რა მდგომარეობაში იყო სხვა-და-სხვა დარგი მეცნიერებისა მაშინ საქართველოში, მესამემ შეადგინა მოკლე ისტორიული მიმოხილვა თავის ქვეყნისა და სხვ. რაკი სამშობლო ცასა და ღრუბელს მოშორებულნი იყვნენ, რაკი პირდაპირ და უშუამავლო კავშირი აღარა ჰქონდათ საქართველოსთან, მათ გულში თითქო უეცრივ იფეთქა ძლიერმა მამულის მოყვარეობის გრძნობამ და ერთად-ერთს ნუგეშად მიიჩნიეს მხოლოდ სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობა, შეგროვება ძვირფას ხელნაწერების ბიბლიოთეკებისა და ძველის ფულის, საეკკლესიო სამკაულის კოლექციებისა, მოქუჩება საარქეოლოგიო ნივთებისა და ყოვლის ნაშთისა, რომელიც-კი ჰმოწმობდა, რომ ოდესმე საქართველოც სცხოვრობდა სრულის დამოუკიდებულის ცხოვრებით და ჰქონდა დიდებული წარსული...

ასეთი ამბავი იყო სამშობლოს გარეშე, ხოლო თვით სამშობლოშიაც არ იყო ჩამქრალი სრულიად ლამპარი გონებრივის მუშაკობისა. იყვნენ აქაც თითო-ოროლანი, რომელნიც არ იშლიდნენ თავისას და, რამოდენ ძალ-ედვათ, შრომობდნენ თუ მონასტრებში და თუ კერძოდ, თავთავიანთ სახლებში, განმარტოებულნი, მოშორებულნი ცხოვრების ჟრიამულსა და დუღილს. მეტადრე არ გამქრალა ამ დროს არც ხალისი ძველთა მწერალთა კითხვისა და შესწავლისა და არც მათ ნაწერთა გადაწერისა, აგრედვე არც საჭირო წიგნების ბეჭდვისა.

ამ სახით, გონებრივი მოღვაწეობა, სალიტერატურო და სამეცნიერო მუშაკობა სამშობლოში, თუ სამშობლოს გარედ, განგრძობილ იქმნა მე-XIX საუკუნეშიაც; არ შესწყდა ძაფი წარსულისა და ზედ მოება ახალის საუკუნის ნასკვს. მაგრამ ვინც კარგად არ იყო ჩახედული ჩვენს ცხოვრებაში, ის ვერ დაინახავდა ამ გარემოებას, ვერ შეამჩნევდა ამ მუშაობას; რადგან ეს მუშაობა სწარმოებდა არა თვალსაჩინოდ, არამედ მყუდროებაში, გარემოებით მიჩუმებულ მიდამოთა შორის, თვით ერის წიაღსა და არსებაში.

ხოლო, რათა გამოჩენილიყო ეს მუშაობა და გონებრივი მოძრაობა და ყველასათვის დასანახი გამხდარიყო, ამისათვის ლოდინი იყო საჭირო, ამისათვის დრო უნდა გასულიყო. და აი წელიწადი მისდევდა წელიწადს. წყლულნი, რომელნიც დააჩნია ქვეყანას შინაურმა შფოთმა თუ გარეშე მტერმა, ნელნელა დაამდა, დასცხრა. თუ სულ არ გამთელდა, პირი მაინც შეიკრა იარამ. დამყარდა ნელ-ნელა, თუ სავსებით არა, ცოტაოდნად მაინც, მშვიდობიანობა. ხალხს იმედი მიეცა, რომ ხვალე მდევარს აღარ დაიძახებენ და ქუდზედ კაცის გასვლა საჭირო არ იქნებაო, ეს ხომ ისეთი სიკეთეა, რომ უამისოდ დამშვიდებული ცხოვრება და წარმატების გზაზედ დადგომა ძნელია. მატაცებელ, მოუსვენარ და შეურიგებელ კაცთა სულის კვეთებაც ცოტა არ იყოს შესუსტდა, ანუ ნაკლებ-ღა ჰპოვებდა ერის მომხრეობას. გარდაიცვალა სიღარიბესა და დავიწყებაში ბატონიშვილი ალექსანდრე, ძე ირაკლი მეფისა, რომელიც სპარსეთს იყო ლტოლვილი და ჰგონებდა, საქართველოს სამეფოს ისევ დავიბრუნებ სპარსეთის მხედრობის შემწეობითაო. შემცირდა რიცხვი ხალხის აფეთქებისა აქა-იქ, იმ ხალხისა, რომელიც ცოტად თუ ბევრად უკმაყოფილო იყო ახლად შემოღებულის წეს-წყობილებისა. ქართველობა ფიქრს მიეცა და ისევ საქმე არჩია გონებით ნავარდობას, ცუდ-უბრალო ოცნებას, განუხორციელებელს ფანტაზიებს.

ამ გზით მზადდებოდა ნიადაგი, რომელიც საჭირო იყო ჟურნალისა თუ გაზეთის დასაარსებლად. პირველში, რასაკვირველია, ადვილი არ იყო მოწყობა ამისთანა საქმისა. გაზეთი ახალი და უცნობი ხილი იყო ქართველის საზოგადოებისათვის. სტამბისა და ბეჭდვის საქმესაც ცოდნა უნდოდა და ეს ცოდნა მაშინ ბევრს არა ჰქონდა. თვით სტამბა არ იყო მოწყობილი და ყოვლად განუვითარებელს მდგომარეობაში იმყოფებოდა ტეხნიკის მხრით. ასე გასინჯეთ, ქაღალდიც-კი ძვირი იყო, ძნელი საშოვარი და რაც იშოვებოდა, ისიც მეტად მდარე თვისებისა იყო. ამისთანა ყოფაში ქართული გაზეთი თუ ჟურნალი, ცხადია, ვერ იხეირებდა და აკი ამიტომაც პირველმა ცდამ ამ მხრივ დიდხანს ვერ დაიჭირა თავი. პირველმა ქართულმა გაზეთმა, რომელიც 1817 წელს დაარსდა და ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, სამს წელიწადს ძლივს იცოცხლა. ასეთივე ბედი ეწია მეორე ქართულს გაზეთს, რომელიც დაარსდა 1821 წელს და რომელმაც ოთხს წელიწადს გასტანა. ისიც ორ კვი-
რეული იყო და, მაშასადამე,
რო ჟურნალის ხასიათი ჰქონ
მესამე ქართული გაზეთი, დაარ
ბული 1830 წელს, გამოდიოდა
რაში ერთხელ, მაგრამ ორის წ
უკან მოისპო. ამასობაში ცხოვ
ბამ წინ წაიწია. დაარსდა რუსუ
გაზეთიც ნახევრად ოფიციალუ
ხასიათისა, რომელსაც მოჰყვა
დეგ რუსული კერძო გაზეთი
ჩვენს ბედად შვიდი-რვა წლის
დეგ დაინიშნა კავკასიის მთავ
მართებლად ვარანცოვი, რომელ
მოწყალების თვალით უყურე
ქართველობას. მის დროს გან
ქართული თეატრი, რომელსაც ქ
თულის ჟურნალის დაარსება მ
ყვა. აი როგორ გვიხატავს მა
დელს ყოფას და ქართველ სა
გადოების მდგომარეობას პირ
ქართულ ჟურნალის დაარს
დროს ერთი ჩვენი მწერალი,
გრაფი ამ პირველის ჟურნალის
დაქტორის თ. გიორგი ერისთავ
ბ-ნი მეჯნარგია: „ქართულს თეა
ქართულის ჟურნალის დაარ
მოჰყვა. ცხოვრებამ და სკ
უიმისოდაც ფეხზედ დააყენა
საზოგადოება იმ ნახევარ საუკ
განმავლობაში, რომელსაც გავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს, რა ნაკლს შეადგენს სკოლისთვის უბალობა და უმეტესათ უგზოობა. ამ დასმა ისაც წარმოადგინა საბუთად, რომ სოფლის სასამართლოს და სკოლას ერთმანეთს ვერ დავაცილებთო. მაგრამ ნუ-თუ ეს საბუთია? ჩემის აზრით, სოფლის სასამართლოს სკოლისათვის ამ შემთხვევაში ზნეობრივად ზარალი უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. გარდა ამისა, მოხსენდა ყრილობას, რომ მთავრობისაგან ეს ადგი დაწუნებულიაო, მაგრამ ისინი მაინც თავისას გაიძახოდნენ. მეორე და მესამე დასი კიდევ ერისთვისა და კამლაძის ადგილს ასახელებდნენ. მაგრამ მკითხველმა რომ უკეთ წარმოიდგინოს სკოლა რამდენად დაშორებული იქმნება საზოგადოებაზედ, ურიგო არ იქმნება ორიოდე სიტყვით მდებარეობა გავაცნოთ. დიმის საზოგადოება შესდგება სოფლებისაგან: ნერგეეთი, ზედა დიმი, ქვედა დიმი, ობჩა, სვიათ მაღალი, როდინაული და ცხენთარო. ეს სოფლები სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ 18 ვერსტის მანძილზედ არიან გაშლილნი. სკოლა ეხლა სდგას ობჩაში და კვლავისათვისაც ობჩაში დარჩება. „ერისთვის ადგილი" უახლოვებს სკოლას როდინაულს და ორ სხვა სოფელს ერთი ვერსით, ამდენითვე აშორებს ერთს ნაწილს ობჩისას, დიმისათვის-კი სულ ერთია; ძველ ადგილთან შედარებით „კომლაძის ადგილი" უახლოვებს დიმს 1½ ვერსით და ამდენითვე აცილებს ერთს ნაწილის ობჩისას; როდინაულისათვის სულ ერთია, რადგანაც შეუძლიან აჯამეთის ტყეზე გადმოვიდნენ გზა-წვრილით. „ერისთავის ადგილი" დაგირავებულია სააზნაურო ბანკში. მისი ყიდვა და ბანკიდგან დახსნა ღირს 700—800 მანეთამდე, „კამლაძის ადგილი"-კი, ზომით სამი ქცევა, ღირებული 300 მან., შესწირა საზოგადოებას სკოლისათვის მაქსიმე წითაძემ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სასწავლებელი უნდა დაიდგას შუაგულ საზოგადოებისა და მასთან სილარიბესაც ყურადღებას მივაქცევთ, მაშინ, ჩემის აზრით, სასწავლებელი „კამლაძის ადგილზედ" უნდა დაიდგას, მხოლოდ ამასაც ვიტყვით, სადაც უნდა დაიდგას, იმისთანა მდებარეობა აქვს ზემოხსენებულს სოფლებს, რომ ხელმისაწვდომი ვერ იქმნება და ყველას მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს.

მესამეთ ყრილობა 19 აგვისტოს დაინიშნა, მაგრამ საქმე ვერ გათავდა, რადგანაც დანაპირები ბ-ნმა ბალდადის ბოქაულმა, მოულოდნელის შემთხვევისა გამო, ვერ შეასრულა და ყრილობას ვერ დაესწრო. ყრილობა ამის გამო 26 აგვისტოსთვის გადიდვა.

თ—ე.

უცხოეთი

ოსმალეთი. როგორც ბოლგარიულს გაზეთებს ყოველ დღე ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, ბოლგარელთა ცხოვრება სწორედ აუტანელი შეიქმნა ოსმალეთის სატახტო ქალაქში. ოსმალეთის მთავრობამ რაღაც ჯვაროსანთა ომისებური გამოუცხადა ბოლგარიელებს. კონსტანტინეპოლის ვოგზალზედ პოლიცია აპატიმრებს ყველა ახლად ჩამოსულს ბოლგარიიდგან და უმეტეს შემთხვევაში ეტაპით ჰგზავნის ოსმალეთის საზღვრიდგან. ოსმალეთის მთავრობას აგრე თავისს დღეში არ დაუმცირებია ბოლგარელნი, როგორც ახლა, ყოველი ბოლგარელი ოსმალეთის პოლიციის თვალში ან ავაზაკია, ან ანარხისტი. არავითარი საჩივარი, არავითარი კანონიერი პროტესტი ბოლგარიის დიპლომატიური სააგენტოსი არას ჰშველის. პროვინციაში-კი ბოლგარიის ქვეშევრდომთა მდგომარეობა კიდევ უარესია. ოსმალნი მათ საზარელის სისასტიკით სდევნიან. მაგალითად ორის სოფლის—სმირდიშისა და კონომლედის მცხოვრებთ, რომელნიც კანონის გარეშე ირიცხებიან, დასტოვეს ცოლ-შვილი, აღიჭურვნენ რითაც შეეძლოთ და გაიქცნენ მახლობელ მთებში, საიდგანაც გამოუცხადეს უსწორო ბრძოლა თავისს ბატონებს.

— გაზ. „ოსმანლის" კონსტანტინეპოლიდგან სწერენ, რომ ავაზაკები ოსმალეთში ამ უკანასკნელს დროს უმთავრესად უცხოეთის დიპლომატიის წარმომადგენელთა საკუთრებასა სძარცვავენ ხოლმე როგორც სტამბოლში, ისე პროვინციაშიაც. ერთს ღამეს ავაზაკები თავს დაესხნენ ავსტრიის საელჩოს მეორე მდივანს კონსტანტინეპოლში, მეორედ—იტალიის გენერალ-კონსულს ბეირუტში, ხოლო შემდეგ გაძარცულ იქმნა ინგლისის ელჩი ხარპუტში.

კიპრი. აგერ ორი წელიწადია რაც კიპრის კუნძულში მართლმადიდებელ სამღვდელოების წარმომადგენელთ გამწვავებული ბრძოლა აქვთ ერთმანერთთან. ამას წინად ნიკოზიაში კირინეისა და კიტიონის ეპისტოპოსთა მომხრეებს სისხლის მღვრელი შეტაკება მოუხდათ ერთმანერთთან, რომელშიაც ბევრი დაიჭრა და დაშავდა. გაზ. „ნეოლოგოსი" მიმართავს აღმოსავლეთის მართლმადიდებელ სამღვდელოების მეთაურებს—პატრიარხებს მსოფლიოსას, იერუსალიმის და ალექსანდრიისას, და სთხოვს მოსპონ აწ მაინც ეს დასობრივი ბრძოლა კუნძულზედ, რაიცა აუცილებლად სექტანტობას ჩამოაგდებს და ანგლიკანთა ეკლესიის ავტორიტეტს განამტკიცებს კიპრში, თუ პატრიარხებმა შემდეგშიაც გულ-გრილად უყურეს ამ სამარცხვინო ბრძოლასაც.

დამაკვირდი.

იმის სიკეთეს ერიდე, ვინც კეთილობით თავს იქებს შენს წინაშე

ეშენბახი.

⁂

ყური ჩვენი ირავერა-ქებისათვის უშველებელი ღია კარია, მართლისათვის-კი ნემსის ყუნწია.

⁂

პირ-ფერობით ქება იქ იწყება, საცა მართალ ქებას ადგილი არა აქვს.

დიუსო.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

პარიჟში არსდება განსაკუთრებული ფონდი, საიდგანაც დახმარება უნდა აღმოეჩინოთ მეცნიერთ კვლევა-ძიების საქმეში. ეს ფონდი ორ სექციადაა გაყოფილი: ერთმა ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერთ ადამიანისა, ცხოველისა და სასარგებლო მცენარის ავადმყოფობათა და სენთა წინააღმდეგ ახალ საბრძოლველ საშუალებათა გამოგონებაში, ხოლო მეორემ—იმ გამოკვლევებს, რომელთაც ბუნების კანონებთანა აქვთ კავშირი.

⁂

კალიფორნიის უნივერსიტეტმა (ამერიკაშია) ახალი სამეცნიერო კათედრა დააარსა—ინდოელ ტომთა ანტროპოლოგიისა. ეს კათედრა პროფესორს კრებერს ჩაებარა. პროფესორის ხელმძღვანელობით უნდა შეიკრიბოს ინდიელთა სიმღერები, ზღაპრები, თქმულებანი, უნდა შესწავლილ იქმნას მათი ენა, ანტოპოლოგიური თვისებანი და სხვანი.

⁂

ნიაგარის ჩანჩქარზედ გადაცურვა განუზრახავს თურმე ერთ ამერიკელ ქალს კორა ბეკვიგს. დღემდე ამ ჩანჩქარზედ არავინ გადაცურებულა. ამ თვრამეტის წლის წინად ეს საქმე კაპიტანმა ვებმა განიზრახა, მაგრამ დაიღუპა. კორა ბეკვიგი, რომელიც მაშინ იქ იყო, ამტკიცებს, კაპიტანი იმიტომ დაიღუპა, რომ ცუდი ადგილი აარჩია გადასაცურებლადაო. რამდენიმე წელიწადია ეს გამბედავი ქალი ჩანჩქარს იკვლევს კარგ გადასაცურავ ადგილის ასარჩევად; ასეთი ადგილი კიდეც გამოუძებნია. ბეკვიგი მეტად გამბედავი და კარგი მცურავი ქალია თურმე.

⁂

ერთ შვეიცარიულ ჟურნალში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი გეიზენდორფისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მოუვლია და კარგად შეუსწავლია იქაური ცხოვრება. მოგზაური გაოცებულია შეერთებულ შტატების წარმატებით, განსაკუთრებით იმ კეთილ დღეობითა და წარმატებით, რომელსაც რესპუბლიკამ ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში მიაღწია. ასეთ კეთილ-დღეობის მიზეზად გეიზენდორფი პროტექციონულ სისტემებსა და იმათ წყალობით განვითარებულ მრეწველობას არა სთვლის. შეერთებულ შტატების სიმდიდრის ნამდვილ დაუშრეტელ წყაროს, მოგზაურის აზრით, შეადგენს farms-ი— ფერმა. საკმაოა მოუსავლობა კანზასსა, ან ნებრასკაში, განაგრძობს გეიზენდორფი, რომ ბირჟა მაშინვე დაეცეს, რკინის გზებზედ მიმოსვლა შემცირდეს, ვაჭრობა შესუსტდეს. პირ-იქით, თუ პურისა და სიმინდის მოსავალი კარგია, ყველაფერს სიცოცხლე ეტყობა, როგორც ვაჭრობა-მრეწველობა, ისე სხვა დარგი წარმოებისა ცხოველდებაო. შემდეგ მოგზაური მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ შეერთებული შტატები როგორ ეტანებიან მიწას ამას წინად ინდიელ ტომებით დასახლებული ადგილი ოკლამაში ადგილობრივ მკვიდრთ მიუტოვებიათ და სხვაგან გადასახლებულან. თუმც ეს ადგილი 13,000 ფერმად გაუნაწილებიათ, მაგრამ მთხოვნელი 130,000-მდე აღმოჩენილა. აზრადა აქვთ კენჭის ყრით გაანაწილონ მიწა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელი ფერმერი სრული პატრონია მიწისა.

ანგარიში

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ 25 და 26 მაისს 1901 წ. მუშტაიდში გამართულის სახალხო სეირნობისა და ბაზრობის შემოსავალ-გასავალისა.

ამ დროს რუსების შემოსვლიდამ. როდესაც ამ საზოგადოებას ერთს დარბაზში მოუყარა თავი თეატრმა და მის სხვა-და-სხვა ნაწილებ შორის ქირისა და ღხინის ხიდი გასდო, საჯაროდ მოლაპარაკე ხმაც უფრო გამბედავი შეიქმნა და ცხოვრებამ მოითხოვა ახალი ორგანო სულიერის ურთი-ერთობისა — ჟურნალი. ეს აზრებისა და ამბების დროზედ მიმტან-მომტანი ჟურნალი შეიქმნა დღის ღაღადებად და ეს ღაღადება თავისას ითხოვდა.

„ლიტერატურული ძალაც საკმაოდ იყო ამ დროს ტფილისში. ხშირად ერთი და იგივე ოჯახი, ერთსა და იმავე დღეს, ჰხედავდა ერთად შეყრილად ისეთს მწერლებს, რომელნიც იყვნენ: გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი, დიმ. ყიფიანი, მიხ. თუმანიშვილი და სხვ. ალ. ჭავჭავაძე და ნიკ. ბარათაშვილი, თუმცა ცოცხალნი არ იყვნენ ამ დროს, მაინც მათი ნიჭიერი ქმნილება, სიკვდილით განწმენდილი, ხელ-და-ხელ დადიოდა, ვით მარგალიტი ობოლი, „ხელის ხელ საგოგმანები". ამათ გარდა ბევრი სხვა მწერალნიც იყვნენ, რომელთაც საკმაოდ ჰქონდათ ჟურნალში დასაბეჭდად გამოსადეგი ნაწერები".

ამ სახით, იმავე ბიოგრაფის სიტყვით, სამკალი მოსული იყო, მომკალნიც იყვნენ. გაჩნდა მესვეურიცა და საქმე გაიჩარხა. თვით ვარანცოვმაც დიდად ხელი შეუწყო ამ საქმეს. მაგრამ მაინც ჟურნალმა დიდხანს ვერ გასძლო და მეორე წლის დამლევს მოისპო. ხელ-მეორედ განახლდა სამის წლის შემდეგ და მის უკან-კი დიდხანს იცოცხლა, თითქმის ოცი წელიწადი.

ახლა უფრო უკეთესი დრო დაუდგა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას. მოახლოვდა ჟამი ბატონ-ყმობის გადავარდნისა და ქვეყანა გამოფხიზლდა, ალაპარაკდა თვისის აზრისა და გრძნობის გამოსათქმელად. საზოგადოება ემზადებოდა ამ დიდის რეფორმისათვის, რომელსაც თან მოჰყვა რეფორმა სამართლისა, სკოლისა, უნივერსიტეტისა, რეფორმა საერობო. სწავლა-განათლებამ იმატა, ცხოვრება რთული შეიქმნა, ერი ნივთიერად გაღონიერდა. მწერლობაც ცხოვრებას მისდევს კვალში და აი ჩნდება ჩვენშიაც, პირველს გარდა, მეორე ჟურნალიცა, ჩნდება აგრეთვე გაზეთი, ჯერ ყოველ-კვირეული, მერე კვირაში სამჯერ გამომავალი და ბოლოს ყოველ-დღიურად გადაქცეული. ამ გაზეთს გარდა იბადება სხვა ჟურნალ-გაზეთებიცა და მწერლობა ნელ-ნელა იზრდება. ნიჭიერნი მწერალნი მრავლდებიან. საზოგადოება ეჩვევა კითხვას, ჟურნალ-გაზეთების დაბარებას. უკანასკნელს 20—30 წლის განმავლობაში დიდად წასდგა წინ ფეხი ჩვენმა მწერლობამ საზოგადოდ და ჟურნალ-გაზეთობამ კერძოდ და დიდი სამსახურიც გაუწია თავის სამშობლო ქვეყანას, ქართველობას. დღეს ისეთი მტკიცე კავშირი არსებობს მწერლობისა და საზოგადოების შორის, ისე აფასებს ქართველობა თავის ლიტერატურას, ისე უყვარს და პატივსა სცემს თავის ნიჭიერ მწერლებს, რომ ამ კავშირს აღარავითარი შიში არ მოელის, მწერლობის არსებობა უზრუნველია და მისი მნიშვნელობა, მისი სამსახური და ღვაწლიც თავის ქვეყნის წინაშე მეტად დიდია, თვალ-საჩინო.

მაშ, ვიდრე სათითაოდ ავნუსხავდეთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს და მოკლედ განვიხილავდეთ, როდის რომელი ჟურნალი ან გაზეთი დაარსდა, ვინ იყო მისი რედაქტორი და რამდენს ხანს და როგორ სწარმოებდა, ან რა ხასიათისა იყო, მეტი არ იქმნება ორიოდე სიტყვა ვსთქვათ საზოგადოდ იმ მუშაკთა და მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც პირველად იდვეს თავს ძნელი საქმე ქვეყნის სამსახურისა ჟურნალისა და გაზეთის დაარსებითა, მწერლობაში მოღვაწეობითა, კალმით მუშაკობითა. უმადურობა იქნება ჩვენის მხრით, რომ დღეს, ამ ასის წლის შემდეგ, როცა მთელი საუკუნე გავატარეთ დიდსა და ძლიერს რუსეთს მიყრდნობილებმა და შეერთებულებმა, კეთილად არ მოვიხსენიოთ ისინი, ვინც დიდის გაჭირვებითა და იწროებით იმხნევეს, რომ ჩვენს ქვეყანას არ დაეკარგა თავისი იერი, თავისი ეროვნება; არ დავიწყებოდა თავისი ენა, თავისი წარსული, დამოუკიდებელი არსებობა, საყვარელი ძველი მწერლები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. თუ რამ გაკეთდა ამ ბოლოს დროს ამ მხრივ, გაკეთდა იმიტომ, რომ იმათ იტვირთეს საქმის დაწყება, იმათ ჩაჰყარეს საძირკველი ახლანდელის ჩვენის მწერლობისა, ჟურნალ-გაზეთობისა, რომელიც ახლა თითქმის ათასობით ვრცელდება ხალხში და აერთებს, ერთის ფიქრით ჰმსჭვალავს, ერთის აზრით ჰკონავს თავადსა და გლეხს, ვაჭარსა და მრეწველს, ერის კაცსა და სულიერს მამას. საფიქრებელია, რომ ბევრს გაჭირვებას გამოივლიდნენ ყველა ისინი, ვინც გამოვიდა მაშინ, იმ შავსა და ბნელს დროს ეკლიანს სალიტერატურო ასპარეზზედ და იჭირნახულა, იღვაწა. ბევრ გვარი სიძნელე გადაელობებოდათ წინ, ბევრჯელ შეუწუხდებოდათ სული და მაინც მოთმინებას არჩევდნენ, რომ არ დაეღუპათ სამუდამოდ თვისი ნაამაგევი, ღვიძლი შვილივით შეტკბობილი საქმე. სახელი და დიდება იმათ, იმ ქართველობის აზრის მოწალმართეთა, იმ ხშირად უჩინართა მუშაკთ წარმატებისა და პროგრესისა, იმ მსახურთ დედათ-ენისა და მოძღვართ საზოგადოებისა და ჩვენის ქვეყნისა!

გრ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

შემოვიდა: შესასვლელი ბილეთებისა—486 მან. 60 კ., გაყიდული ნივთებისა—1143 მან. 85 კაპ., პრემიებისა—106 მან. 60 კაპ., საბაზრო ავანსად წაღებული ფულიდან უკან დაბრუნებული—47 მან. 40 კაპ., სულ—1784 მან. 45 კაპ. დაიხარჯა: ნივთების შეძენასა და დამზადებაზე—468 მან. 10 კაპ., მუშტაიდის ქირა 100 მან., მუსიკა 90 მან., ჩირაღდანი 48 მან., ზურნა 8 მან., პოლიციას 40 მან., მარკებისა 70 მან., სავიზიტო ბარათების აფორიზმებით, განცხადებათა, ბილეთებისა და აფიშების დასაბეჭდ-დასარიგებელი 68 მან. 15 კაპ. ბუფეტისა და თაიგულების—22 მან. 75 კაპ. წვრილმანი 32 მან. 69 კაპ., სულ 947 მან. 69 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 836 მან. 76 კაპ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა მოვალეთ ჰსთვლის თავისს თავს გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა სეირნობისა და ბაზრობის გამართვაში ნივთებისა და ფულის შემოწირვით, გაზეთებში უფასო განცხადებათა დაბეჭდვით და პირადის შრომით.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

4 სექტემბერი

პეტერბურგი. 4 სექტემბერს ნიკოლოოზის რკინის გზის ჩქარის მატარებლით ციმბირში გაემგზავრა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი რომანოვი.

ოდესსა. აქ ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს წევრი ინფანტერიის გენერალი გრაფი შუვალოვი.—ჩამოვიდა რუმინიის კომისია ჯარისათვის ათასი ცხენის საყიდად.

ხარკოვი. განსვენებულის მწყემსთავრის გვამი დაასვენეს ეპისკოპოსის აგარაკის ეკლესიაში. გვამის გასასვენებლად მოელიან სინოდის მიერ დანიშნულს ეპისკოპოსს.

ბრუნსბუტელი. „შტანდარტი“ რუსეთის იმპერატორითურთ დილის ექვსის ნახევარზედ დუნკირხენში წავიდა.—გუშინ დიდი ჰერცოგი და ერცოგინა — დედა მეკლენბურგ შვერინისა მობრძანდნენ „შტანდარტში“. ხელმწიფე იმპერატორმა მათთან ერთად ნავთ-სადგური დაათვალიერა.

პარიჟი. გრაფი ლამზდორფის მოსვლის დღიდგან მას დიდის ყურადღებით ეპყრობიან რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები. გაზეთები მას საქებარ წერილებს უძღვნიან. „Journal des debats“-ი, აღმიშნა რა დიდი სადიპლომატო ღირსებანი და ღრმა ერუდიცია რუსეთის მინისტრისა, ამბობს: „გრაფი ლამზდორფი დარწმუნებული იყოს, რომ საფრანგეთი არამც-თუ თანაუგრძნობს მას, როგორც მეგობრისა და მოკავშირე მონარხის მინისტრს, არამედ პატივისცემით ეპყრობა მისს პირადობასაც.“

პარიჟი. პრეზიდენტი ლუბე ვალდეკ-რუსოსა და დელკასეს თანხლებით დუნკირხენში გაემგზავრა 11 საათს 15 წამზედ. მიუხედავად ავდრისა მრავალი ხალხი შეიკრიბა ჩრდილო ვაგზალზედ, სადაც პატივისცემით მიესალმა პრეზიდენტს.

კომპიენი. რუსეთის იმპერატორის მოახლოვებისა გამო ყველა დიდი გაზეთები გამო ვიდნენ დღეს სიხარულით აღსავსე წერილებით. „Figaro“ სწერს: „ყველა ფრანგი აღვსილია სურვილით მიიღოს ღირსეულად უავგუსტოესნი სტუმარნი და განუახლოს მათ კეთილი მოგონებანი ჩვენის ქვეყნისა და ხალხის შესახებ, რაიცა პირველად მობრძანების დროს მიიღეს. ვალად ვრაცხთ ერთხელ კიდევ მივუძღვნათ სალამი უძლიერესსა და უსაყვარელეს ხელმწიფეს საფრანგეთის მიწა-წყალზე.

ბუფფალო. საბრალმდებლო პალატამ აღძრა ჩოლგოსის წინააღმდეგ საფუძვლიანად ცნობილი ბრალდება პირველის ხარისხის მკვლელობის შესახებ.—მინისტრებთან და იქ შეკრებილ მეგობრებთან მოლაპარაკების დროს რუზველტმა განაცხადა, რომ ჩემი პროგრამა მაკ-კინლეის პროგრამას ეთანხმებაო. რუზველტს მხოლოდ სურს საბაჟო ომის მოსპობა სხვა სახელმწიფოებთან და საბაჟო გადასახადის შეცვლა, რაც მაგდენად საჭირო არ არის სახელმწიფოს შემოსავლისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ გადასახადთა გაუქმებამ ამერიკის მრეწველობას ზარალი არ მიაყენოს. გარდა ამისა, რუზველტი მომხრეა საერთა-შორისო დავის სამედიატორო სამართლით გადაწყვეტისა.

პარიჟი. „Daulois“-ში მოყვანილია აზრი რუსეთის საგენერალო შტაბისუფროსის გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა, რომელიც საფრანგეთის ალლუმს დაესწრო. სახაროვი დიდის ქებით იხსენიებს საფრანგეთის ჯარის კაცებსა და არტილერიას, რომელსაც ახლა მთელს ქვეყანაზე საუკეთესო იარაღები აქვს.

პეკინი. დღეს ხელ-ახლა შემოვიდნენ ჩინეთის ჯარები, ამერიკელებმა და იაპონელებმა ქალაქის აღკრძალული ნაწილი ჩინეთის მთავრობას გადასცეს.

5 სექტემბერი:

კალუგა. კოზელის მაზრაში მოვიდნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთვრინა ელისაბედ მავრიკის ასული.

დონის როსტოვი. კავკასის რკინის გზას განზრახვა აქვს გაიყვანოს შავი ზღვის პირს გზა. პროექტი ამ ახალ გზისა მალე იქმნება განხილული.

ჩამოვიდა ფინანსთა მინისტრი და ვაგზალზედ მიეგებნენ ქალაქის წარმომადგენელნი და ფინანსთა სამინისტრო მოხელე-მოსამსახურენი. მინისტრი ნაშუადღევის 6 საათზედ გაუდგა გზას კავკასისკენ.

ტულონი. მერმა გაუგზავნა პეტერბურგისა და კრონშტადის ქალაქის მოურავებს დეპეშები რომელითაც უცხადებს შეურყეველ მეგობრობის გრძნობებს.

დუნკირხენი. ლუბემ მიიღო რა დელეგაცია ბელგიის მეფის მიერ გაგზავნილი, აღნიშნა საფრანგეთის მეგობრული გრძნობანი ბელგიის მიმართ. ლუბემ პრეფექტურაში გამართა სადილი მახლობელ პირთათვის და წავიდა რატუშის ბალში, შემდეგ პრეფექტურაშივე დაბრუნდა გზა და გზა ხალის მისალმებით. ქალაქი და ნავთ-სადგური გაჩირაღდნებულია. წვიმა შესწყდა, მაგრამ ძლიერი ქარი ჰქრის.

დუნკირხენი. ვაგზალში მოხელეთა მიღების შემდეგ პრეზიდენტი წავიდა ახალ მატუშის კურთხევაზე დასასწრებლად. ბრბო, რომელიც ავდრის მიუხედავად მრავლად იდგა, ხმა-მაღლა ჰყვიროდა: „გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ქალაქი ბაირაღებითაა მორთული.

დუნკირხენი. პრეფექტურაში ცოტა ხნობით შეჩერების შემდეგ პრეზიდენტის მატარებელი რატუშასკენ გაემართა. გზაზედ შეუწყვეტლად ისმოდა: „გაუმარჯოს ლუბეს გაუმარჯოს ვალდეკ-რუსოს, გაუმარჯოს დელკასეს!“ ქუჩები მოფენილი ფრანგულ-რუსულ ფერის ბაირაღებით. ქალაქში მოსვლის დროს სამხიარულო ძახილი უფრო გახშირდა. მერი მიესალმა პრეზიდენტს და აღდეგრძელა ლუბე და რუსეთის იმპერატორი, დიდებული მეგობარი საფრანგეთისა, ღირსეული შვილი, სათნო ადამიანი; მეგობარი, რომლის ყოველი აზრი მიმართულია მშვიდობიანობით დამყარებისაკენ. თავისს პასუხში ლუბემ სთქვა თუ რა ბედნიერია იგი, რომ დუნკირხენში მოვიდა დიდის ქვეყნის ხელმწიფის, საფრანგეთის ერთგულ მოკავშირის მისაგებებლად. იგი გადასცემს მას დუნკირხენის მცხოვრებთაგან გამოთქმულს საყვარელს და პატივისცემას. საფრანგეთი ჰხედავს ორის ქვეყნის დაახლოვებაში, რომელიც თან და თან უფრო მტკიცდება, მისის უშიშროებისა და დიდებისა უზრუნველყოფა. ამ სიტყვას ხშირის ტაშის ცემით მიეგებნენ. საღამოთი ლუბემ სადილი გამართა ადგილობრივ მოხელეთათვის. პრეზიდენტმა გადასცა მერს 1000 ფრანკი ღარიბთა და სავადმყოფოთა სასარგებლოდ და 500 ფრანკი—გემების დაღუპვისაგან დაზარალებულთათვის.

კონსტანტინეპოლი. 4 სექტემბერს აქ შავი ჭირით კაცი მოკვდა. დღევანდელს სხდომაზედ სანიტარულმა საბჭომ გადასწყვიტა, სკუტარის მიდამოებში აზიის ნაპირზე, მიიღოს განსაკუთრებული ზომები ამ სენის წინააღმდეგ.

წინანდელი ფინანსთა მინისტრი რეშა-ფაშა ხელ-ახლა დანიშნულ იქმნა ფინანსთა მინისტრად. ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ზუხლი-ფაშა რჩება მხოლოდ საერო განათლების მინისტრად.

ბააგა. საგენერალო შტატებში გახსნილ იქმნა სეფეს—სიტყვით, რომელშიაც მოხსენებული იყო მშვენიერი გაწყობილება დიდ სახელმწიფოებათ, და გამოცხადებული სხვა-და სხვა საკანონმდებლო ზომები, განსაკუთრებით სოციალურ ნაწილში. ამ ზომებისათვის საჭირო ხარჯი დაფარულ იქმნება საბაჟო გარდასახადის გადიდებით.

პარიჟი. ქალაქ რეტელის ბურგომისტრი არდუმანი (ნაციონალისტი) გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან იმისთვის, რომ გენერალის ბრუგერის მიერ გამართულ ნადიმზედ ალლუმისა გამო, უცხოელთა აფიცრების თანადასწრებით უკადრისად მოიხსენია სამხედრო მინისტრი.

დუნკირხენი. ლუბე მოვიდა ნაშუადღევის 4 საათზედ და ვაგზალზედ შეეგებნენ მას ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. ცოტა გამოიდარა.

პეტერბურგი. 4 სექტემბერს დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე ილინსკოეს სოფელში წაბრძანდა.

არრასი. შეჩერებისა და ცოტა ხნობით მიღების დროს ლუბემ საგენერალო საბჭოს თავმჯდომარის კადარის პასუხად წარმოსთქვა, რომ რუსეთის იმპერატორთან შეხვედრა სასარგებლო იქმნება საფრანგეთის ერისთვის და ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ რესპუბლიკას, მიუხედავად აგიტაციისა, შეუძლიან მამულის უმაღლეს ინტერესებისათვის მედგრად აწარმოვოს საგარეო პოლიტიკაო. ეპისკოპოსმა წარუდრა სამღვდელოების წევრნი, განაცხადა სასურველი, რომ საფრანგეთმა მტიცედ დაიცვას ორი კავშირი—კავშირი რუსეთთან და კავშირი იესო ქრისტესთან და ამავე დროს შეერთებულნი და თავისუფალნი დარჩნენო. ლუბემ დაარწმუნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა შესძლებს ამ სურვილთა გამართლებასა მრავალ—რიცხოვანი ბრბო ვაგზალთან პრეზიდენტს მიესალმა.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი [illegible] ვიდგან ტფილისში საღ[illegible] (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან.

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება კნ. ანნა ივანეს ასულის ვაჩნაძის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად „ორას ოთხმოცდა ათის (290) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ კნ. ვაჩნაძისა ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—6.—1)

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შხტა“-სი

აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა 10 %-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თვითეულს პაიზედ დანიშნულია 14-დგან 22 სექტემბრამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ საამხანაგო ხელშეკრულების მე-7 § ს. ამხანაგობის კანტორა ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში.

(4—116—1)

ქ. ქუთაისში

ისყიდება ორი სახლი ეზოებით. პირველ სახლს თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა და იმყოფება თავადის ქუჩაზე (Княж улица), ქალების გიმნაზიის პირდაპირ, და მეორე სახლს (რომელშიაც მოთავსებულია ოცხელის პანსიონი) თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენამდე და იმყოფება დადიანის ვიწრო ქუჩაზე. ფასზე მოლაპარაკება შეიძლება მამულის პატრონთან, კონსტანტინე ტარასის ძე ვარფოლომეევთან, ტფილისი, სერგეევის, ქუჩა ჩითახოვის სახლი (Въ Правленіи Кавказскаго Округа путей сообщенія).

(3—191—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.